



Tax • Audit • Consulting

შპს კაპროლ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

*2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კაპაროლ ჯორჯია“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „კაპაროლ ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, განმარტებულია ჩვენი დასკვნის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“, ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნის გამოკლებით. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ არის თუ არა იგი არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პარაგრაფით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე “მსს ფასს”-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

პარტნიორთა და სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისათვის.

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ლევან აგლაძე
შპს თიემსი
31 მაისი, 2022
თბილისი, საქართველო



სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2021 ლარი	2020 ლარი
ამონაგები	5	31,927,171	25,225,843
ამონაგების თვითღირებულება	6	(17,621,445)	(13,617,383)
საერთო მოგება/(ზარალი)		14,305,726	11,608,460
მიწოდების ხარჯები	7	(1,902,801)	(1,132,410)
პერსონალის შენახვის ხარჯები		(3,647,285)	(3,272,848)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	11	(635,116)	(633,661)
სხვა საერთო ხარჯები	8	(2,921,060)	(2,242,526)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		5,199,464	4,327,015
ფინანსური შემოსავალი	9	81,966	34,277
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	10	4,889,364	(654,798)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		10,170,794	3,706,494
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		10,170,794	3,706,494

შპს კაპაროლ ჯორჯიას დირექტორები:

ბორის გამრეკელი

დავით შენგელია

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2021 ლარი	2020 ლარი
ამონაგები	5	31,927,171	25,225,843
ამონაგების თვითღირებულება	6	(17,621,445)	(13,617,383)
საერთო მოგება/(ზარალი)		14,305,726	11,608,460
მიწოდების ხარჯები	7	(1,902,801)	(1,132,410)
პერსონალის შენახვის ხარჯები		(3,647,285)	(3,272,848)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	11	(635,116)	(633,661)
სხვა საერთო ხარჯები	8	(2,921,060)	(2,242,526)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		5,199,464	4,327,015
ფინანსური შემოსავალი	9	81,966	34,277
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	10	4,889,364	(654,798)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		10,170,794	3,706,494
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		10,170,794	3,706,494

შპს კაპაროლ ჯორჯიას დირექტორები:
ბორის გამრეკელი

დავით შენგელია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2021 ლარი	2020 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	3,980,310	3,927,722
არამატერიალური აქტივები	11	21,184	32,072
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,001,494	3,959,794
 მარაგები	12	6,974,017	6,351,935
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	4,070,331	2,490,678
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	9,233,362	5,777,751
სულ მოკლევადიანი აქტივები		20,277,710	14,620,364
 სულ აქტივები		24,279,204	18,580,158
 საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	599,781	599,780
გაუნაწილებელი მოგება		20,970,458	15,622,867
სულ საკუთარი კაპიტალი		21,570,239	16,222,647
 ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	16	2,575,965	2,398,329
საგადასახადო ვალდებულებები		106,464	21,920
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	26,536	(62,737)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,708,965	2,357,511
 სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		24,279,204	18,580,158

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება/(აკუმულირებული ზარალი) ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	599,780	11,916,375	12,516,155
წლის მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)	-	3,706,494	3,706,494
საწესდებო კაპიტალის ცვლილება დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	599,780	15,622,869	16,222,647
წლის მთლიანი სრული მოგება/(ზარალი)	-	10,170,794	10,170,794
საწესდებო კაპიტალის ცვლილება დივიდენდები	-	(4,823,204)	(4,823,204)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	599,781	20,970,458	21,570,239

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2021 ლარი	2020 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	43,193,630	29,641,160
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(24,443,705)	(18,630,587)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(2,702,194)	(2,560,325)
გადახდილი გადასახადები	(6,753,356)	(4,912,312)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	9,294,375	3,537,936
ძირითადი საშუალებების (შემენა)/გაყიდვა	(617,100)	(468,650)
მიღებული პროცენტები	81,966	34,277
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(535,134)	(434,373)
გადახდილი დივიდენდები	(3,894,737)	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(3,894,737)	-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	4,864,504.00	3,103,563.00
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(1,408,893)	448,211
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	5,777,751	2,225,977
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9,233,362	5,777,751

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „კაპაროლ ჯორჯია“ დაფუძნდა 2005 წლის 17 იანვარს, საიდენტიფიკაციო კოდი: 202248503, მარეგისტრირებული ორგანო არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ისანი სამგორის რ-ნი, ზემო ალექსეევკის დასახლება. კომპანიის დამფუძნებელი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ლაკუფა ლაქები და საღებავები BHRB 89837B141, ხოლო თავის მხრივ ლაკუფა ლაქები და საღებავების დამფუძნებლები არიან LACUFA Beteiligungs GmbH 94.5% წილის მფლობელი, ხოლო 5.5 % წილს ფლობს DAW SE (Deutsche Amphibolin Werke). ეს უკანასკნელი, ევროპის ბაზარზე წარმოდგენილია 1895 წლიდან და დღეისათვის, სიდიდით, ევროპაში მესამე ადგილზეა სამშენებლო საღებავების წარმოებისა და გაყიდვის მიმართულებით. DAW SE თავის მხრივ არის LACUFA Beteiligungs GmbH -ის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი. DAW SE - ს 100 პროცენტის წილის მფლობელია გერმანული კომპანია Murjahn SE & Co Familien KG, რომლის დამფუძნებლებიც არიან ფიზიკური პირები Dr. Klaus Murjahn და Dr. Ralf Murjahn, რომლებიც ფლობენ კომპანიაში 100% წილს.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის 12 მარტს ოფიციალურად გამოაცხადა COVID-19 პანდემია. მსოფლიო მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობის წინაშე დადგა ადამიანების საქმიანობის ყველა ასპექტზე, მათ შორის ეკონომიკაზე კორონავირუსის გავლენის გამო. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნეს შეზღუდვები.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე შექმნილ ახალ ვითარებას კომპანიაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. ადმინისტრაციული დეპარტამენტი გადავიდა დისტანციურად მუშაობის რეჟიმში, ხოლო საოპერაციო პროცესი საწარმოში შენარჩუნებული იყო ყველა წესის დაცვით.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად. მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, კომპანია არ მოელის, რომ კორონავირუსს არსებით უარყოფითი გავლენა ექნება კომპანიის უნარზე, განაგრძოს არსებობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების შედგენა საჭიროებს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. გარდა ამისა, საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ინფორმაცია ისეთი სფეროების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით რთულია, ან მაღალი დონის განსჯა ესაჭიროება, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვანია მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ა) უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად კომპანიის მიერ აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სავალუტო კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ნებისმიერი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

ვალუტის გაცვლითი კურსები

	31.12.2021	31.12.2020
1 აშშ დოლარი / ლარი	3.0976	3.2766
1 ევრო / ლარი	3.5040	4.0233

ბ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

გ) ამონაგები და სხვა შემოსავალი

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა კლიენტს ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის და მომსახურების სანაცვლოდ.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის შემოსავლებს:

შემოსავალი პროდუქციის და ნედლეულის რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციას, როგორც კომპანიის კუთვნილ შოურუმში, ასევე დისტრიბუციის ქსელის მეშვეობით.

ექსპორტი

კომპანიას ექსპორტზე გააქვს ლაკ-საღებავები აზერბაიჯანში, ბელარუსსა და სომხეთში.

დ) გადასახადებიმიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ან როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

ე) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება, რომ აქტივების თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

განსაზღვრულია თითოეული ჯგუფის სალიკვიდაციო ღირებულება შემდეგი ნორმებით:

- შენობა-ნაგებობების სალიკვიდაციო ღირებულება (ძ.ს. თავდაპირველი საბალანსო ღირებულების) 5 %
- მანქანა-მოწყობილობები, ავეჯი, კომპიუტრული ტექნიკა და საოფისე ინვენტარი 3.5 %
- ავტომობილები 4 %
- არამატერიალური აქტივები, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა და სხვა მსგავსი აქტივები 0%
- გარე მოწყობილობები, დამხმარე ნაგებობები, ელ.გადამცემი და კავშირგაბმულობის მოწყობილობები და სხვა მსგავსი ძირითადი საშუალებები 4%

ცვეთის დარიცხვა ხორციელდება თავდაპირველ ღირებულებაზე სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლების შედეგად მიღებულ სიდიდეზე შემდეგი ნორმებით:

- შენობა-ნაგებობების ცვეთის ნორმა შეადგენს 4 %
- მანქანა-მოწყობილობები, ავეჯი, კომპიუტრული ტექნიკა და საოფისე ინვენტარი 20 %
- ავტომობილები 20 %

- არამატერიალური აქტივები, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა და სხვა მსგავსი აქტივები 15%
- გარე მოწყობილობები, დამხმარე ნაგებობები, ელ.გადამცემი და კავშირგაბმულობის მოწყობილობები და სხვა მსგავსი ძირითადი საშუალებები 8%

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ვ) იჯარა

სადაც კომპანია არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

ზ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ღირებულებით, რომელსაც ემატება ტრანსპორტირებისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ხარჯებად ტარდება „FIFO“ მეთოდის გამოყენებით.

თ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ცვეთადი და ამორტიზებადი აქტივების შეფასება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი მათი გაუფასურების. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ესა თუ ის აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, შემოწმდება ამ აქტივის (ან იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც მოცემული აქტივი განეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც მისი საბალანსო ღირებულება.

გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს ცალკეული ფულადი სახსრების ნაკადები. არაფინანსური აქტივები, რომლებმაც განიცადეს გაუფასურება, მიმოიხილება გაუფასურების შესაძლო შეცვლის მიზნით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში და სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან. ნაღდი ფული ბანკში გულისხმობს მიმდინარე ანგარიშებს.

კ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ასევე შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური ხარჯების ნაწილში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისთვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

5. ამონაგები

	2021	2020
	ლარი	ლარი
შემოსავალი რეალიზაციიდან	30,986,594	24,283,649
შემოსავალი რეალიზაციიდან ტარა, ნედლეული	340,295	207,842
შემოსავალი ექსპორტიდან	689,591	799,132
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(103,683)	(76,979)
სხვა შემოსავალი	14,374	12,199
	31,927,171	25,225,843

6. ამონაგების თვითღირებულება

	2021	2020
	ლარი	ლარი
თვითღირებულება პროდუქციის რეალიზაციიდან	17,280,371	13,395,574
თვითღირებულება ტარა, ნედლეულის რეალიზაციიდან	341,074	221,809
	17,621,445	13,617,383

7. მიწოდების ხარჯები

	2021	2020
	ლარი	ლარი
სარეკლამო ხარჯი	176,422	88,634
მედია რეკლამა	439,481	461,044
ავტომობილების დაზღვევა	22,073	25,905
ავტომობილების რემონტი	96,030	67,324
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	440,636	328,797
საწვავის ხარჯი	131,649	82,684
მიწოდების სხვა ხარჯი	596,510	78,021
	1,902,801	1,132,410

8. სხვა საერთო ხარჯები

	2021	2020
	ლარი	ლარი
საიჯარო ქირა	604,646	576,220
დაზღვევის ხარჯი	38,372	34,913
ბანკის საკომისიო	20,946	21,890
დაცვის ხარჯი	24,318	23,953
საკონსულტაციო ხარჯები	135,142	133,620
კომუნალური ხარჯები	151,506	98,716
მივლინების ხარჯი	277,347	84,738
კომუნიკაციის ხარჯები	74,500	62,772
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	1,594,283	1,205,703
	<u>2,921,060</u>	<u>2,242,526</u>

9. ფინანსური შემოსავლები

ფინანსური შემოსავალი მოიცავს კომპანიის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე დარიცხულ სარგებელს, 81,966 ლარის ოდენობით.

10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

	2021	2020
	ლარი	ლარი
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	8,488	12,977
შემოსავალი ინტელექტუალური საკუთრების რეალიზაციიდან	6,701,309	-
საკურსო სხვაობა	(1,169,394)	(145,199)
საექვო ვალების რეზერვი	(64,515)	(197,752)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	<u>(613,292)</u>	<u>(324,824)</u>
	<u>4,862,596</u>	<u>(654,798)</u>

11. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	უძრავი გარე მოწყობილობები	მანქანა- დანადგარები	აღჭურვილობა, ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
<u>თვითღირებულება:</u>									
2020 წლის 1 იანვარს	174,427	9,191	3,131,838	250,809	2,163,718	580,721	696,543	283,385	7,290,632
დამატებები	-	411,090	24,266	60,714	114,743	83,777	134,922	23,245	852,757
შიდა გადაცემები	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლები	-	(420,280)	-	-	-	-	-	-	(420,280)
2020 წლის 31 დეკემბერს	174,427	1	3,156,104	311,523	2,278,461	664,498	831,465	306,630	7,723,109
დამატებები	-	684,752	4,653	74,600	113,096	191,593	263,053	24,485	1,356,232
შიდა გადაცემები	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლები	-	(657,344)	-	-	(32,352)	(72,790)	(138,422)	-	(900,908)
2021 წლის 31 დეკემბერს	174,427	27,409	3,160,757	386,123	2,359,205	783,301	956,096	331,115	8,178,433
<u>დაგროვილი ცვეთა:</u>									
2020 წლის 1 იანვარს	-	-	906,569	50,166	1,354,018	391,017	290,673	178,545	3,170,988
ცვეთის ხარჯი	-	-	123,727	21,334	222,344	65,099	154,107	37,789	624,399
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერს	-	-	1,030,296	71,500	1,576,362	456,116	444,780	216,334	3,795,387
ცვეთის ხარჯი	-	-	125,267	24,385	216,530	70,400	151,907	35,741	624,230
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	(29,946)	(58,225)	(133,321)	-	(221,492)
2021 წლის 31 დეკემბერს	-	-	1,155,563	95,885	1,762,946	468,291	463,366	252,075	4,198,125
<u>საბალანსო ღირებულება:</u>									
2020 წლის 1 იანვარს	174,427	9,191	2,225,269	200,643	809,700	189,704	405,870	104,840	4,119,644
2020 წლის 31 დეკემბერს	174,427	1	2,125,808	240,023	702,100	208,383	386,685	90,296	3,927,722
2021 წლის 31 დეკემბერს	174,427	27,409	2,005,194	290,238	596,260	315,011	492,730	79,040	3,980,308

11. არამატერიალური აქტივები

	გუდვილი	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
<u>თვითღირებულება:</u>			
2020 წლის 1 იანვარს	69,549	80,194	149,743
დამატებები	-	18,584	18,584
შიდა გადაცემები	-	-	-
გასვლები	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერს	69,549	98,778	168,327
დამატებები	-	-	-
შიდა გადაცემები	-	-	-
გასვლები	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერს	69,549	98,778	168,327
<u>დაგროვილი ამორტიზაცია:</u>			
2020 წლის 1 იანვარს	69,549	57,444	126,993
ამორტიზაციის ხარჯი	-	9,262	9,262
გასული აქტივების დაგროვილი ამორტიზაცია	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერს	69,549	66,706	136,255
ამორტიზაციის ხარჯი	-	10,888	10,888
გასული აქტივების დაგროვილი ამორტიზაცია	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერს	69,549	77,594	147,143
<u>საბალანსო ღირებულება:</u>			
2020 წლის 1 იანვარს	0	22,750	22,750
2020 წლის 31 დეკემბერს	0	32,072	32,072
2021 წლის 31 დეკემბერს	0	21,184	21,184

12. მარაგები

	2021	2020
	ლარი	ლარი
საქონელი	2,624,220	2,666,228
ნედლეული და მასალები	3,035,607	2,438,466
მზა პროდუქცია	1,207,487	1,164,547
სარეკლამო მასალები	106,703	82,694
	6,974,017	6,351,935

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020
	ლარი	ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,507,823	2,193,475
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	562,508	297,203
	4,070,331	2,490,678

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2021	2020
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული სალაროში	24,692	9,912
ფული საბანკო ანგარიშებზე	9,208,670	5,767,839
	9,233,362	5,777,751

15. საწესდებო/სააქციო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია ეროვნულ ვალუტაში და 31/12/2021 -ის მდგომარეობით შეადგენს 599,780 ლარს.

16. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2021	2020
	ლარი	ლარი
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	2,556,505	2,341,191
მიღებული ავანსები	19,460	57,138
	2,575,965	2,398,329

17. საექვო ვალების რეზერვი

კომპანიის პოლიტიკის მიხედვით საექვო ვალების რეზერვის ანარიცხი გამოსათვლელად იყენებს შემდეგ პროცენტულ მაჩვენებლებს.

- სრული დებიტორული დავალიანებისათვის - 2%
- 180-360 დღემდე ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანება - 50%
- 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანება - 100%

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ვადიანი და 30 დღემდე ვადაგადაცილება	30-60 დღე ვადაგადაცილება	60-180 დღე ვადაგადაცილება	180 -360 დღე ვადაგადაცილება	360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება
დებიტორული დავალიანება	3,407,370	32,278	58,185	28,561	377,288
საექვო ვალების რეზერვი	68,147	646	1,164	14,281	377,288
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	3,339,223	31,632	57,021	14,281	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ვადიანი და 30 დღემდე ვადაგადაცილება	30-60 დღე ვადაგადაცილება	60-180 დღე ვადაგადაცილება	180 -360 დღე ვადაგადაცილება	360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება
დებიტორული დავალიანება	1,871,723	89	491,756	26,774	143,109

საექვო ვალების რეზერვი	37,434	2	9,835	13,387	143,109
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,834,289	87	481,921	13,387	-

18. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
	ლარი	ლარი	ლარი
2021			
გაყიდვები	-	-	6,863,644
შესყიდვები	-	-	19,322,547
გამოცხადებული დივიდენდები	5,546,685	-	-
გადახდილი დივიდენდები	5,546,685	-	-
სახელფასო ხარჯები	-	714,706	-
გადახდილი ხელფასები	-	714,706	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	2,024,373

	მესაკუთრეები	მთავარი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
	ლარი	ლარი	ლარი
2020			
შესყიდვები	-	-	16,884,244
სახელფასო ხარჯები	-	772,034	-
გადახდილი ხელფასები	-	772,034	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	1,878,494

18. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან თუ ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი

მეორე მხარის მიერ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებული მხარის ყველა შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მის სამართლებრივ ფორმას.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

19. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

20. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიაღებება. კომპანიას საკრედიტო რისკი ემუქრება საოპერაციო საქმიანობის და ფინანსური

საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ ფულად სახსრებთან მიმართებით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები:

	2021	2020
	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,070,331	2,490,678
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9,233,362	5,777,751
	13,303,693	8,268,429

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ლიკვიდურობის მდგომარეობის მონიტორინგს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

ფინანსური ვალდებულებები:

	1 თვემდე	1-3 თვემდე	3 -12 თვემდე	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	-	2,602,501	2,602,501
	-	-	2,602,501	2,602,501

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: ა) უცხოურ ვალუტასთან, ბ) საპროცენტო განაკვეთები და გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის

მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

I. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

II. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შემდეგ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დენომინაციის ვალუტის მიხედვით:

	აშშ დოლარი	ევრო	ლარი
31.12.2021			
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,503,947	-	2,048,931
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,658,899	3,689,055	3,885,408
	3,162,846	3,689,055	5,934,339
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	400,465	2,051,589	-
	400,465	2,051,589	-
წმინდა სავალუტო პოზიცია	2,762,381	1,637,466	5,934,339

	აშშ დოლარი	ევრო	ლარი
31.12.2020			
<u>ფინანსური აქტივები:</u>	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	2,490,678
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21,377	4,336,859	1,419,515
	21,377	4,336,859	3,910,193
<u>ფინანსური ვალდებულებები:</u>			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	2,261,371	136,958
	-	2,261,371	136,958

წმინდა სავალუტო პოზიცია

21,377

2,075,488

3,773,235

21. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში შემდგომი მოვლენები არ განხორციელებულა.

23. განმარტება COVID-19-თან (ახალი კორონა ვირუსი) დაკავშირებით:

2019 წლის სექტემბერში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მსოფლიოს აუწყა გავრცელებული ვირუსის შესახებ, რომელიც შემდგომ Covid-19 -ის სახელით გახდა ცნობილი. საქართველოში მისი პირველი გამოჩენა მოხდა 2020 წლის დასაწყისში, რამაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, გამოიწვია რიგი შეზღუდვები და რეგულაციების გამკაცრება.

შპს კაპაროლ ჯორჯიასთვის პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში პრიორიტეტულად დასახელდა და მონიტორინგი ხორციელდებოდა შემდეგ საკითხებზე:

- ლიკვიდურობის მენეჯმენტი
- ხარჯების მენეჯმენტი
- სწორი საფასო პოლიტიკა
- პერსონალის უსაფრთხოება
- მიწოდების ჯაჭვის უწყვეტობა

კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს რისკების მონიტორინგი რათა მყისიერად მოხდეს საფრთხეების თავიდან არიდება.

კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება. გატარებული პოლიტიკა ეფექტურია, კომპანიის მენეჯმენტი ოპტიმისტურად შეხვდა დაანონსებულ პანდემიის დასრულებას და თვლის რომ კოვიდ-19-ის ზეგავლენა ბიზნეს გარემოზე განულებულია. შესაბამისად ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება არც მიმდინარე და არც გრძელვადიან პერიოდში.

24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 31 მაისს.

შპს კაპაროლ ჯორჯიას დირექტორები:

ბორის გამრეკელი

დავით შენგელია

24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 31 მაისს.

შპს კაპაროლ ჯორჯიას დირექტორები:
ბორის გამრეკელი

დავით შენგელია



[Handwritten signature]
[Handwritten signature]



შპს კაპაროლ ჯორჯია

მმართველობითი ანგარიშგება

შპს კაპაროლ ჯორჯიას

საქმიანობის მიმოხილვა

თბილისი

2021

1. საქმიანობის განვითარების, შედეგების და მდგომარეობის აღწერა

შპს „კაპაროლ ჯორჯია“ წარმოადგენს გერმანული საწარმოს შპს „ლაკუფა ლაქები და საღებავების“ 100% შვილობილ კომპანიას. შპს „კაპაროლ ჯორჯია“ დაარსდა 2005 წელს. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სამშენებლო საღებავების და მშრალი ნარევების წარმოება. 2008 წელს კომპანიამ ააშენა საკუთარი ქარხანა, რომელიც აღჭურვა თანამედროვე მანქანა-დანადგარებით; აღნიშნული ინვესტიციის ღირებულებამ 3 000 000 ლარს გადააჭარბა. 2015 წელს კომპანიამ ააშენა ახალი მშრალი ნარევების ქარხანა. საღებავებისა და მშრალი ნარევების წარმოება ყოველწლიურად ხასიათდება მზარდი ეფექტით; გარდა წარმოების ზრდისა, კომპანიამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ბაზრის ათვისების და ბაზარზე საკუთარი სეგმენტის დაკავების კუთხით; 2021 წლის მდგომარეობით შპს კაპაროლ ჯორჯია ითვლება სამშენებლო ლაქ-საღებავებისა და მშრალი ნარევების ადგილობრივი ბაზრის ლიდერად.

კომპანიის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე განსაკუთრებული მოთხოვნაა ქვეყნის შიდა ბაზარზე და მეზობელ ქვეყნებში. შპს კაპაროლ ჯორჯიას მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტი წარმატებით ხორციელდება სომხეთსა და აზერბაიჯანში.

პროდუქციის საწარმოებლად საჭირო ნედლეულის ნაწილის შეძენას კომპანია ახორციელებს საქართველოს შიდა ბაზარზე; პროდუქციის საწარმოებლად აუცილებელი დანარჩენი მასალების შეძენა კი ხორციელდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ესენია: გერმანია, თურქეთი, სლოვენია და სხვა.

კომპანიაში დღეისთვის დასაქმებულია 51 ადამიანი, დასაქმებულების 100% წარმოადგენს ადგილობრივ კადრებს. კომპანიის დაარსების დღიდან დასაქმებულების რაოდენობა, წარმოების სიმძლავრეების ზრდასთან ერთად თანმიმდევრულად იზრდებოდა, წლების მიხედვით კომპანიაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა შემდეგია:

ცხრილი № 1

წელი	დასაქმებულების რაოდენობა
2013	35
2014	34
2015	39
2016	43
2017	45
2018	48
2019	50
2020	51
2021	51

წლების მიხედვით წარმოების გეგმის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში #2

ცხრილი № 2.

წარმოების მონაცემები: საღებავების წარმოება, გეგმის შესრულება

წელი	წარმოების გეგმის შესრულების კოეფიციენტი
2013	0,71
2014	0,98
2015	0,86
2016	0,68
2017	1,03
2018	1,12
2019	1,11
2020	0,99
2021	1,00

ცხრილი № 2.

წარმოების მონაცემები: მშრალი ნარევების წარმოება, გეგმის შესრულება

წელი	წარმოების გეგმის შესრულების კოეფიციენტი
2015	0,95
2016	1,78
2017	1,44
2018	1,19
2019	0,86
2020	0,79
2021	0,79

ყოველწლიურად იზრდება გაყიდვების მოცულობა, რაც განპირობებულია პროდუქციის ხარისხზე სისტემატიური ზრუნვით, მარკეტინგული სამსახურის ეფექტიანი მუშაობით, ფასების სწორად რეგულირებით, სწორი შეთავაზების უზრუნველყოფით.

პანდემიასთან დაკავშირებული კრიზისის მიუხედავად (2021 წელს) 2020 წელთან შედარებით ზრუნვა გაიზარდა, რაც წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

ცხრილში #3 გადმოცემულია ინფორმაცია პროდუქციის რეალიზაციის შესახებ წლების ჭრილში.

ცხრილი № 3

გაყიდვების მონაცემები

წელი	რეალიზაცია მილიონი ლარი
2013	9,3
2014	11,4
2015	12,9
2016	14,8
2017	18,6
2018	23,2
2019	26.6
2020	25.2
2021	31.9

2. ხარისხის კონტროლი

წარმოებული პროდუქციის ხარისხის კონტროლის მიზნით, შექმნილია სპეციალური ქიმიური ლაბორატორია. ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნის გათვალისწინებით. პროდუქციის წარმოების პროცესში, ყოველდღიურად - დღეში რამდენჯერმე ხდება წარმოებაში ჩაშვებული ნედლეულის და მიღებული პროდუქციის ხარისხის ლაბორატორიული ანალიზი, რისი მეშვეობითაც მინიმუმამდეა დაყვანილი პროდუქციის ხარისხის მცირე გადახრის რისკიც. კომპანიაში წარმატებით არის დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ISO 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, მინიჭებული აქვს სერტიფიკატი (სერტიფიკატის რეგისტრაციის ნომერი: 01 100 1335043) TÜV Rheinland Cert GmbH-

ის მიერ. ხარისხის კონტროლის მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით, კომპანიას მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებული აქვს სტაბილური და ხარისხიანი პროდუქციის მწარმოებლის რეპუტაცია.

3. სასაქონლო ნიშნები და პატენტები:

შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ გაფორმებული აქვს მის მიერ გამოყენებული სასაქონლო ნიშნების მესაკუთრე კომპანიასთან ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნების ექსკლუზიური გამოყენების უფლების შესახებ.

4. გარემოზე ზრუნვა

კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის საკითხების მოწესრიგებას. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის მიხედვით, კომპანია კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგს. კომპანიის საკუთრებაში არსებული საწარმოების ექსპლუატაციაში გაშვება ხდება მხოლოდ შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანგარიშის მომზადების და სათანადო წესით შეთანხმების შემდეგ. გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით დანერგილია აირგამწმენდი მოწყობილობები და სპეციალური ფილტრები. აირგამწმენდი მოწყობილობების მუშაობა მთლიანად ავტომატიზებულია. უახლესი ტიპის მოწყობილობების გამოყენება საშუალებას იძლევა თითქმის 100%-ით გამოირიცხოს გაუთვალისწინებელი შემთხვევების შედეგად გარემოზე მავნე ზემოქმედება.

5. დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზრუნვა

შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული ქარხნებში დასაქმებული პირების შესასრულებელი სამუშაო, წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, მომეტებული საფრთხის შემცველ სამუშაოს არ წარმოადგენს. კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომის უსაფრთხო პირობების დაცვას. ქარხნებში ყველა პოზიციაზე დასაქმებული პირებისთვის შემუშავებულია შესაბამისი შრომის ინსტრუქციები. ქარხანაში სამუშაოს დაწყებამდე ყველა პირი გადის სპეციალურ სწავლებას და მხოლოდ ამის შემდეგ დაიშვება სამუშაო ადგილზე. გარდა ამისა, დადგენილი პერიოდულობით ხდება თანამშრომელთა გადამზადება შრომის უსაფრთხოების საკითხებში. ყოველი სამუშაო დღის დაწყების წინ დასაქმებულები გადიან სპეციალურ ინსტრუქტაჟს შრომის უსაფრთხოებაში. საწარმოების შენობებში განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა. კრიზისულ სიტუაციების მართვაზე შესაბამისი უფლებამოსილებები გადანაწილებული აქვთ სამსახურების და/ან შესაბამისი ჯგუფის ხელმძღვანელებს. ამასთან კომპანიაში შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვის მონიტორინგის და კონტროლის მიზნით გამოყოფილია სპეციალური საკადრო ერთეულები. კომპანიაში დანერგილია სამუშაო გარემოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემა ISO


45001:2018 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, მინიჭებული აქვს სერტიფიკატი (სერტიფიკატის რეგისტრაციის ნომერი: 12 117 58243 TMS) TÜV SÜD Management Service GmbH-ის მიერ.

6. კომპანიის სტრუქტურა:

კომპანიის მართვის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისგან. სტრუქტურული ქვედანაყოფი ექვემდებარება კომპანიის დირექტორს ან შესაბამისი მიმართულების კურატორ დირექტორის მოადგილეს.

ნებისმიერი სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის ყალიბდება შესაბამისი პროცედურული დოკუმენტაცია, რომლითაც განისაზღვრება ქვედანაყოფის და მასში შემავალი პირების უფლება-მოვალეობები და მათი საქმიანობის ინსტრუქცია.

კომპანიის სტრუქტურა გამოიყურება შემდეგი სახით:



ხელმძღვანელობის უფლებამოსილება განსაზღვრულია კომპანიის წესდებით.

7. განვითარების გეგმა და სტრატეგია ძირითადი რისკები და მისი პრევენციის გზები

კომპანია დაარსების დღიდან ვითარდებოდა და ეტაპობრივად ხდებოდა წარმოების სიმძლავრეების ზრდა, წარმოებისთვის საჭირო ახალი მანქანა-დანადგარების დამატების და ახალი ქარხნების მშენებლობის და/ან შეძენის საშუალებით.

კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმა და მისი განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი კაპიტალის მოზიდვის მეთოდები წარმოების ზრდის კუთხით უცვლელია. ისევე როგორც ისტორიულად, მომავალშიც გათვალისწინებულია საწარმოო სიმძლავრეების ეტაპობრივი ზრდა დამატებითი მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრების მოზიდვის გარეშე, კომპანიის საქმიანობის შედეგად მიღებული ფინანსური სახსრების გამოყენებით.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლო რისკებს წარმოადგენს:

- პროდუქციაზე და/ან ნედლეულზე ფასების ცვლილება;
- ბაზარზე მოთხოვნის შემცირება;
- მსოფლიო პანდემიის პირობებში, გარკვეულ ქვეყნებში შეზღუდვების შემოღების შემთხვევაში ნედლეულის მოწოდების შეფერხება.
- ლარის კურსის ცვლილებები;
- ფინანსური რისკები.

კომპანიის წინაშე არსებული რისკების პრევენციის მიზნით, კომპანიაში მიმდინარეობს აღნიშნული რისკების მუდმივი მონიტორინგი, რათა მყისიერად მოხდეს რისკების თავიდან არიდების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

ისტორიული მონაცემების საფუძველზე, კომპანიის პოლიტიკა ეფექტურია ფინანსური რისკების თავიდან აცილების თვალსაზრისით. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია სწრაფად განვითარდა დამატებითი მნიშვნელოვანი ინვესტიციების გაზრდის გარეშე, შესაბამისად, დაგეგმილია იგივე პოლიტიკის გაგრძელება მომავალში.

2021 წლის მანძილზე მიწოდების ჯაჭვის წყვეტას ადგილი არ ჰქონია და ამ კუთხით, ჩვენი პროგნოზით, 2022 წლის განმავლობაშიც იგივე სურათი გვექნება.

COVID-19-თან დაკავშირებით ყველა შეზღუდვის მოხსნის და ჩვეულ კალაპოტში მდგომარეობის და ზოგადად ბიზნესგარემოს დაბრუნების შემდეგ, გვაქვს მოლოდინი, რომ გაიზრდება, როგორც წარმოების მასშტაბების, ისე გაყიდვების მოცულობა.

კომპანიის არსებული ლიკვიდური აქტივებით კომპანიის ფუნქციონირებას არანაირი საფრთხე არც დღეს და არც მომავალში არ ემუქრება.

31.01.2022

დირექტორი:

ბორის გამრეკელი

31.01.2022



დირექტორი:

ბორის გამრეკელი